# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 13 იანვარი 2006 №5 (2627) ფასი 50 თეთრი



## აბუ-დაბისთან კიევი მოთელვა იყო

ინტერვიუ ოთარ მარცვალაძესთან

2



## დემეტრაძეს ისრაელში დაუძახეს

4



## გაჯადოქრდება ბათუმი?

ზღვისპირეთში ორ ბრაზილიელს ელიან

4

# ვის იშვილებს საქართველო?

ნოდარ ახალკაცის ევროპული „ტურნე“ დღეს მოსკოვიდან დაიწყება და თვის ბოლომდე გასტანს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი 27 იანვარს შვეიცარიაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრასაც უნდა დაესწროს, რუსეთსა და შვეიცარიაში ვიზიტებს შორის ორკვირიან შუალედს კი გერმანიაში გაატარებს, სადაც კლაუს ტოპმიოლერთან უცხოელი მეკარის ნატურალიზების შესახებ მოლაპარაკებს და ვინ იცის, ეგებ სასურველი კარის დარაჯის „გაქართველება“ მალტის ტურნირამდეც მოესწროს. „ქართული ფეხბურთის სახლში“ ამის თაობაზე უკვე დაუფარავად ლაპარაკობენ.



# კლაუს ტოპმიოლერის მეშვიდე გრძნობა და მოგზაურობა კავკასიაში



DIE WELT.de

## რატომ დათანხმდა გერმანელი საქართველოს ნაკრების გაწვრთნას

# ოთარ მარცვალაძე: უნდა გავუძლო
## აბუ-დაბისთან კიევი მოთელვა იყო



— ძნელია, ძალიან ძნელია, მაგრამ ვუძლებ, არაფერს ვუჩივი და მგონი, არც მწვრთნელებს უნდა ჰქონდეთ რაიმე საპრეტენზიო. „დინამოში“ უდიდესი ფიზიკური დატვირთვებია.

— ქართულს ვერც შეადარებ?

— რა თქმა უნდა...

*აი, პირველი კითხვა-პასუხი, რითაც ოთარ მარცვალაძესთან ინტერვიუ დავიწყეთ.*

*მოგეხსენებათ, „ვიტჯორჯიას“ თავდამსხმელი და საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ახლა კიევის „დინამოსთან“ ერთად არაბეთის გაერთიანებული საემიროების აბუ-დაბიშა შეკრებაზე და უკრაინელ გრანდთან კონტრაქტამდე ძალიან ახლოსაა. კიევის „დინამოს“ თავკაცმა ანატოლი დემიანენკომ გუნდი არაბეთში 10 იანვარს წაიყვანა და თან მარცვალაძეც იახლა. მწვრთნელი ამბობს, ამ ბიჭის შესაძლებლობებმა სასიამოვნოდ გამაკვირვაო.*

*მოკლედ, გავაგრძელოთ...*

— როდის გადაწყდება, დარჩები თუ არა „დინამოში“?

— ამ შეკრების შემდეგ ყველაფერი გარკვეული იქნება. ყოველ შემთხვევაში, აბუ-დაბიში წამოსვლამდე, ასე მითხრეს.

— უკრაინელები ამბობენ, მარცვალაძე კონტრაქტთან ძალიან ახლოსააო...

— ასე ვერ ვიტყოდი, ჩემ საქმეს ვაკეთებ და მწვრთნელები რას ფიქრობენ, არ ვიცი.

— არაბულ შეკრებამდე კიევშიც ვარჯიშობდი. იქ არ იყო დიდი დატვირთვები?

— იყო, მაგრამ აქ სულ სხვაა. აქაურ დატვირთვებთან შედარებით, ასე მგონია, კიევში მოთელვაზე ვიყავი. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი მძიმე დატვირთვები იქნებოდა.

— კიევის „დინამოს“ ფიზმომზადების ამბავი საქვეყნოდაა ცნობილი. შენთვის ახალი რა არის?!

— დილიდანვე ორ საათს დავრბივართ, ჯერ კროსია, მერე სპრინტი... ცოტა ხანს ვისვენებთ და ბურთით ვვარჯიშობთ, მაგრამ ისეც ყოფილა, ამ ვარჯიშისას ზოგ ფეხბურთელს ბურთი არც მიუღია. დავალება პრესინგია, ბურთი სულ რომ საპირისპირო ფლანგზე იყოს, ვისი მეურვეობაც გევალება, არ უნდა მოშორდე. მოკლედ, დავრბივარ.

— სისწრაფე შენი პლუსია...

— რა ვიცი, ვნახოთ...

— თქვი, დატვირთვებს ვუძლებო. შეიძლება ველარ გაუძლო?

— არა მგონია, ყველაფერი კარგადაა.

— აბუ-დაბიში, „დინამოს“ ძირითად შემადგენლობასთან ერთად ყოფნა შენთვის მოულოდნელი იყო?

— არა, რადგანაც როცა კიევში პირველი საწვრთნელი მატჩი ვითამაშე, მაშინვე მითხრეს, რომ გუნდს მეორე შეკრებაზეც უნდა გამოვყოლოდი.

— შენს გარდა ბევრია ახალი ფეხბურთელი?

— მხოლოდ ერთი, უკრაინელი, „კარპატიდან“. ჩვენ სასტუმროშიც ერთ ნომერში ვართ.

— მწვრთნელთან პირისპირ არ გისაუბრია?

— როგორც მითხრეს, დემიანენკო ცალკე არავის ელაპარაკება. მწვრთნელს სათქმელი რაც აქვს, კრებაზე ამბობს. ასეთ კრებაზე კი ერთი-ორი სიტყვა მეც მითხრა, საკმაოდ გასაგებად. მწვრთნელისგან დიდ სითბოსა და პატივისცემას ვგრძნობ.

— „დინამომ“ მალე ისრაელში ოთხთა ტურნირში უნდა ითამაშოს. გუნდთან ერთად იქნები?

— არ ვიცი, ვნახოთ, მწვრთნელი როგორც გადაწყვეტს...

**კობა ინასარიძე**

# წყეული ათი თვის დასასრული
## ოთარ ხიზანეიშვილი მინდორს დაუბრუნდა

**შარშან** 30 მარტს ოთარ ხიზანეიშვილმა საქართველო — თურქეთის მატჩში ტრავმა მიიღო, დებიუტშივე შეცვალეს და მას მერე მინდორზე აღარ გასულა.

მუხლის ოპერაცია, ხან დამაიმედებელი, ხანაც რთული დიაგნოზები და ისე მოხდა, რომ „ფრაიბურგის“ 24 წლის მცველის მკურნალობას ლამის 10 თვე დასჭირდა.

ხიზანეიშვილი ამჟამად „ფრაიბურგთან“ ერთადაა პორტუგალიურ შეკრებაზე, სადაც იგი მინდორსაც დაუბრუნდა. ოთარი თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ, მოსკოვის „დინამოსთან“ ტესტ-მატჩში 82-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა.

სასიამოვნო ცნობაა: ხიზანეიშვილი, ალბათ, მეორე ბუნდესლიგის განახლებამდე მოახერხებს ჩვეულ ფორმაში შესვლას და იმედია, თებერვლის ბოლოს საქართველოს ნაკრებს მალტის ტურნირზეც ჩაჰყვება.

„ფრაიბურგმა“ მოსკოვის „დინამოსთან“ 0:1 წააგო. ფოლკერ ფინკემ კი ყველა ფეხბურთელს მისცა თამაშის საშუალება — გუნდის კაპიტანი ალექსანდრე იაშვილი ძირითადში იყო და შესვენებაზე შეცვალეს. ტაიმის მიწურულს „აკუნას“ დრიბლინგი გოლითაც დასრულდებოდა, მაგრამ რუსთა მეკარე სერგეი ოვჩინიკოვმა რთული ბურთი აუღო.

**ილია ნანობაშვილი**

# სამი გაშვებული? არა, სამი აღებული
## კალაძე და შევჩენკო ბესლანელ ბავშვებს შეხვდნენ

კახა კალაძემ და ანდრეი შევჩენკომ მონაწილეობა მიიღეს საქველმოქმედო აქციაში, რომლის ინიციატორი იტალიის ჰუმანიტარული ორგანიზაცია იყო. მათ 2004 წელს ბესლანის ტრაგედიისას დაზარალებული ბავშვები მიიწვიეს მილანში, ვენეციასა და ვატიკანში, სადაც რომის პაპ ბენედიქტ XVI-ს შეხვდნენ.

ბესლანელ ბავშვებს კალაძემ და შევჩენკომ თავიანთი ფოტოები აჩუქეს ავტოგრაფებით და სამახსოვრო სურათებიც გადაიღეს მათთან.

შეგახსენებთ, რომ ამ ცოტა ხნის წინ კალაძე ფიფა-იუნისეფის ელჩი გახდა.

აქვე ვთქვათ „მილანზეც“, რომელმაც იტალიის თასის მერვედფინალში „ბრეშას“ სტუმრად 4:3 მოუგო. საქართველოს ნაკრების კაპიტანი ძირითადში იყო, მარცხენა მცველად ითამაშა და მეორე ტაიმში სერჟინიომ შეცვალა.



„ზედიზედ მეორე თამაშია, სამ გოლს ვუშვებთ, რაც „მილანისთვის“ საკმაოდ ბევრია. თუმც მთავარია, რომ ვიგებთ და გამართულად ვთამაშობთ. სერია A-ს მომდევნო ტურში „რომას“ ვსტუმრობთ, „ოლიმპიკოზე“ „მილანი“ ყოველთვის კარგად თამაშობს და იმედია, მორიგ სამ ქულას ავიღებთ“ — უთხრა კახა კალაძემ იტალიელ ჟურნალისტებს.

**კახა შალამბერიძე**



# რაზე ისაუბრებენ ახალკაცი და ტოპმიოლერი?

გამორიცხული არ არის, ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების კარი ნატურალიზებულმა უცხოელმა მეკარემ დაიცვას. ამის თაობაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა პრინციპულ შეთანხმებას უკვე მიაღწიეს და კლაუს ტოპმიოლერს სრული კარტბლანში მისცეს. ამაზე „სარბიელი“ უკვე წერდა და იქვე გამოვთქვით ვარაუდი, თუ არჩევანი უცხოელ მეკარეზე შეჩერდა, ტოპმიოლერი რომელიმე თანამემამულეს მიმართავს შესაბამისი წინადადებითო. გერმანული სამეკარეო სკოლის ტრადიციებიდან და დღევანდელი დონიდან გამომდინარე, ამაში გასაკვირი არც არაფერია. ნოდარ ახალკაცის მორიგი გერმანული ვოიაჟის ერთ-ერთი მიზანი ალბათ ესეც იქნება...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი დღეს მოსკოვში მიემგზავრება. თანამეგობრობის თასის გათამაშებას ტრადიციულად ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერიც დაესწრება და იქვე შედგება მისი შეხვედრა ნოდარ ახალკაცთან. 27 იანვრისთვის კი შვეიცარიაში ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრაა დაგეგმილი, რომელსაც, რა თქმა უნდა, ხფვფის პრეზიდენტიც დაესწრება.

რუსეთსა და შვეიცარიაში ვიზიტებს შორის დაახლოებით ორკვირიან შუალედს ახალკაცი გერმანიაში გაატარებს. ხომ არ არის დაგეგმილი ამთავითვე თადარიგის დაჭერა და გერმანელ მეკარეთა შორის ჩვენთვის მისაღები კანდიდატურის შერჩევა? ამ კითხვით ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ გოგი ქავთარაძეს მივმართეთ...

„უშუალოდ მეკარის მოძიება ნოდარ ახალკაცის ვიზიტის გეგმებში ნამდვილად არ შედის. ჩვენ მივაღწიეთ პრინციპულ შეთანხმებას, საჭიროების შემთხვევაში გადავდგათ ეს ნაბიჯი. ახლა ყველაფერი ტოპმიოლერზეა დამოკიდებული. ბუნებრივია, ნოდარი გერმანიაში ყოფნისას შეხვდება მას და ამ საკითხზეც დაელაპარაკება“ — გვითხრა გოგი ქავთარაძემ.

ნაკლებად სავარაუდოა, მეკარის მოძიებაში პირთა ფართო წრე ჩაერთოს. ამ მისიას საკუთარ თავზე ნაკრების მთავარი მწვრთნელი და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი აიღებენ. შესაძლო მოლაპარაკებათა პროცესსაც ისინი წარმართავენ და ეგებ უცხოელი მეკარე სიურპრიზად უკვე მალტის ტურნირამდეც „გააქართველონ“.

„კარგი იქნებოდა, თუ მეკარის ნატურალიზებას გადავწყვეტთ, მალტის ტურნირამდე მოგვესწრო. თუმცა მეეჭვება, ეს ფიზიკურად მოხერხდეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საფუძვლიანი დაკვირვება, შემდეგ კი მოლაპარაკება იქნება საჭირო“ — ესეც ქავთარაძის სიტყვებია.

**გიორგი ნოზაძე**

### საფრანგეთი
პირველი დივიზიონი
XXI ტური

ტულუზი 1:0 პსჟ

### ესპანეთი
თასის მერვედფინალი
საპასუხო მატჩი

*რეალი* 4:0 ბილბაო (1:0)

### საბერძნეთი
თასის მეოთხედფინალი

კალამარია 1:2 *ლარისა*

### იტალია
თასის მერვედფინალი
საპასუხო მატჩები

ჩიტადელა 0:0 *ლაციო* (0:2)

*ინტერი* 0:0 პარმა (1:0)

კლაუს ტოპმიოლერის საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშვნამ გერმანიაში საკმაო აჟიოტაჟი გამოიწვია, რაშიც ეს წერილიც დაგარწმუნებთ — ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური გაზეთი **DIE WELT** ტოპის საქართველოში ჩამოსვლას ასე გამოეხმაურა...

# კლაუს ტოპმიოლერის მეშვიდე გრძნობა და მოგზაურობა კავკასიაში

DIE WELT.de



**რატომ დათანხმდა კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრების გაწვრთნას — მიზანი ევრო 2008-ზე თამაშია**

თუ ნაბიჯი გადასადგმელია, უნდა გადადგა. ასე ფიქრობს 54 წლის კლაუს ტოპმიოლერი, რომელიც ორშაბათს ოფიციალურად გახდა საქართველოს ნაკრების მწვრთნელი. მეორე დღეს, თბილისიდან წამოსვლისას ტოპმიოლერი სოლიდური ესკორტით გამოაცილეს, სხვათა შორის, სულ გერმანული მანქანებით. ისე, ეს გზა ხომ რამდენიმე დღით ადრე უკვე გაიარა, ოღონდ სხვა მიმართულებით — საქართველოსკენ.

„ფანტასტიკურია“ — ამბობს ის — „შესანიშნავია, სუპერ!“ თითქოს მან პირდაპირ ედემში შეაბიჯა. ახლა ტოპმიოლერის ახალი ადგილსამყოფელი საქართველოა, კავკასიაში მდებარე ქვეყანა, სადაც ფეხბურთი ლიმონივით არ ხარობს, იქ უფრო გაჭირვებაა. ტოპმიოლერიც ალბათ მართალია, როცა ამბობს: „რატომ ავირჩიე საქართველო? ამის თქვენთვის ახსნა ძალიან რთულია“.

15 თვე გავიდა, რაც ტოპმიოლერმა „ჰამბურგი“ დატოვა და მას შემდეგ უმუშევარი იყო — 2004 წლის 17 ოქტომბრის მერე ვერც ერთმა გერმანულმა კლუბმა ვერ შეძლო მისი დასაქმება. არადა, ლაპარაკი ბევრი იყო, ოღონდ მხოლოდ ლაპარაკი...

ტოპმიოლერი კი ამას ძალიან მშვიდად უყურებს: „მე უფრო დიდი პაუზის გაკეთება მინდოდა. მთელი ცხოვრება ხომ ფეხბურთს, ფეხბურთს და კიდევ ფეხბურთს ვემსახურები“. ახლა? ისევ ფეხბურთი, ამჯერად ქართული. პირველად მოხდა — ის ნაკრებს გაწვრთნის.

ქართულ ფეხბურთზე ბევრი არაფერია ცნობილი, ის კი ვიცით, რომ ქართველ ფეხბურთელებს გრძელი გვარები აქვთ, დაბოლოება უმეტესად „ვილი“-ა, ხშირად „ძე“-ც. ამგვარად, კითხვაზე, რა იცით ქართველ ფეხბურთელებზე, ტოპმიოლერი მარტივად პასუხობს: „კობიაშვილი და კალაძე“; ერთი „შალკეში“ თამაშობს, მეორე „მილანში“.

ტოპმიოლერმა ისიც იცის, რომ საქართველო საზიზღრად განადგურდა ცოტა ხნის წინ ბულგარეთთან და დანიასთან მატჩებში, 6-6 ბურთი გაუშვა, ეს მოხდა მოკლე დროში, თანაც ორჯერ. მაშინ, როცა საქართველო ფრანგმა ალენ ჟირესმა დატოვა, ნაკრები მეექვსე ადგილზე იყო შესარჩევ ჯგუფში და ეს მას არ აპატიეს.

მოკლედ, ტოპმიოლერი საქმეს ძალიან ქვემოდან იწყებს, მიზანი კი 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლაა — 27 იანვრის ჟენევური წილისყრა პირველი სამუშაო დღეა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელისთვის.

ორშაბათს ტოპმიოლერმა თბილისში კონტრაქტი გააფორმა: ორი წელი და კიდევ ორი, თუ ევროპის ჩემპიონატზე გავა. 1,15 მილიონი ევრო ხელფასად, დაწერეს გაზეთებმა და თუ ამ თანხას ქართულ ლარებში გადაიყვანთ, ასტრონომიული გამოდის თავად ქართველებისთვის, მაგრამ...

სისულელეა, ამბობს ტოპმიოლერი, ეგ რიცხვები აბსოლუტური სისულელეა: „მე ფული კი არა, წარმატება მაინტერესებს“.

და ისევ ტოპმიოლერი: „ქართველებს ძალიან უნდოდათ გერმანელი მწვრთნელი და ახლა ძალიან ბედნიერები არიან, მე რომ იქ ვარ“. ამას თურმე ჟურნალისტებიც არ მალავენ. ორშაბათსვე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმაც კი მიიღო ტოპმიოლერი. პრეზიდენტს ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს გერმანელებთან. ცნობისთვის: გერმანია პირველია, რომელმაც თავის დროზე საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა, 1993 წლიდან დღემდე კი 250 მილიონი ევროთი დახმარებია — გერმანია ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული შემწეა კავკასიის რესპუბლიკისთვის.

ტოპმიოლერს იმედი აქვს, რომ ეს დახმარება ქვეყნისთვისაც წარმატებების მომტანი იქნება და ფეხბურთისთვისაც. ისე, საქართველოზე ამერიკელებიც ზრუნავენ. ზაფხულში ვაშინგტონიდან თბილისში ჯორჯ ბუში და კონდოლიზა რაისი ჩავიდნენ, თებერვალში კი რივენიხიდან კლაუს ტოპმიოლერი ჩავა...

ფეხბურთელებმა კიდევ ბევრი უნდა ისწავლონ. კობიაშვილი და კალაძე გასაგებია, ტოპმიოლერმა ერთი-ორი ქართველი ფეხბურთელი კიდევ იცის, დანარჩენი კი... ამის გამო მან გადაწყვიტა, პირველი ნახევარი წელი სასტუმროში იცხოვროს და იქაურ ფეხბურთში ჩაიხედოს. ქუთაისის „ტორპედო“, „ზესტაფონი“, ბოლნისის „სიონი“ — ასეთი გუნდები თამაშობენ ქართულ ლიგაში.

აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებლობისთვის იბრძვიან; საქართველოში 4,4 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, აქედან 1,2 მილიონი თბილისში, სადაც ცხოვრება შედარებით დუღს, ეს საქართველოს ნამდვილი ცენტრია.

ქართული ენის სწავლას ტოპმიოლერი არ აპირებს, ვერც ქართულად წერის შესწავლაზე დადებს თავს, აი, ჰიმნის სწავლას კი მალე დაიწყებს და ალბათ იმღერებს კიდეც. საქართველოს ჰიმნს „თავისუფლება“ ჰქვია.

ერთი სიტყვით, ახალმა სანაკრებო მწვრთნელმა საქართველოზე ჯერ ბევრი არაფერი იცის, მაგრამ ის კი იცის, რას ნიშნავს ქართული სამზარეულო, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირიდან ითვლებოდა საოცრებად.

უნდა არ უნდა, ტოპმიოლერმა საქართველოში თავისუფალ პრესასაც უნდა გაუწიოს ანგარიში. ოფიციალურად ცენზურა აკრძალულია, ხოლო ყველაზე დიდი სპორტული გაზეთი „სარბიელია“.

და კითხვაზე, რამ ჩაიყვანა 2002 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი საქართველოში, ის გიპასუხებთ: „მეშვიდე გრძნობამ“.

**პეტერ შტუტცერი**

## თქვენი ინტერვიუ კლაუს ტოპმიოლერთან

*თქვენთვის კარგად ნაცნობი ამ რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი იქნება.*

*კითხვები 5 თებერვლის ჩათვლით უნდა მოგვაწოდოთ და ჰერ კლაუსთან ინტერვიუ არაუგვიანეს 12 თებერვლამდე გამოქვეყნდება.*

*იაქტიურეთ!*

მოგვმართეთ ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: **Starmail@Caucasus.net**





# დემეტრაძეს ისრაელში დაუძახეს

ჯერაც ვლადიკავკაზის „ალანიას“ ფეხბურთელი გიორგი დემეტრაძე ახლა თბილისშია, სათამაშო ფორმის შესანარჩუნებლად ეროვნულ სტადიონზე ინდივიდუალურად ვარჯიშობს და ახალ კლუბში გადასასვლელად ემზადება. გიორგი დემეტრაძე საბერძნეთიდან, გერმანიიდან, ისრაელიდან და უკრაინიდან ელის საბოლოო სატრანსფერო სიტყვას, რომელიც დღეს-ხვალ უნდა მიიღოს. ჯერჯერობით გიორგი დაინტერესებული კლუბების დასახელებას ერიდება, თუმც ამბობს, ისრაელიდან დონეცკის „მეტალურგში“ ჩემი ყოფილი ჰოლანდიელი მწვრთნელი ტომი კაანენი მეპატიჟებაო, ეს სპეციალისტი კი ამჟამად თელ ავივის „მაკაბიში“ მუშაობს...

— ისრაელიდან საბოლოო პასუხი ამ კვირაში უნდა მითხრან, ტრანსფერით ჩემი აგენტია დაკავებული, რომელიც კლუბთან მოსალაპარაკებლად ახლა თელ ავივშია — გვითხრა გუშინ გიორგი დემეტრაძემ.

— „ალანიასთან“ საქმეები უკვე მოგვარებულია?

— უმცირესია შანსი, რომ „ალანიაში“ დავრჩე. ამ კლუბთან კონტრაქტი კიდევ მაკავშირებს, მაგრამ გუნდი პირველ დივიზიონში გავარდა და ოსები წასვლაში ხელს არ შემიშლიან.

— კარიერის ისრაელში გაგრძელება რამდენად რეალურია?

— „მეტალურგში“ ჩემი ყოფილი მწვრთნელი ტომი კაანენი ისრაელის ერთ-ერთ კლუბში მუშაობს და რამდენიმე დღის წინ დამიკავშირდა. კარგი გუნდი გვყავს და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ვიბრძვითო. ვნახოთ, რა გამოვა, ტრანსფერის ამბავი დღე-დღეზე უნდა გაირკვეს.

— ისრაელში წასვლა შენს მოშავალზე არ იმოქმედებს?

— არა მგონია. ისრაელში ფეხბურთის დონე ბოლო დროს საკმაოდ ამაღლდა, დიდი ფული ტრიალებს და ბევრი ლეგიონერიც თამაშობს. იმ კლუბში კი, რომელიც მიწვევს, ისრაელის ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი ირიცხება.

— ეხე იგი, ჩავთვალოთ, რომ ისრაელში მიდიხარ?

— ეს ჯერ გადაწყვეტილი არაა, მხოლოდ ერთ-ერთი ვარიანტია. ისრაელის გარდა საბერძნეთისა და უკრაინის რამდენიმე გუნდიდან მაქვს საინტერესო წინადადება, გუშინწინ კი გერმანული კლუბიდანაც დამიკავშირდნენ.

— რომელი კლუბიდან?

— ამას ჯერ ვერ ვიტყვი, მოლაპარაკება მიმდინარეობს.

— უკრაინიდან ისევ „მეტალურგი“ გეპატიჟება?

— კი, მაგრამ ახლა გავიგე, რომ მათ ძირითადი შემადგენლობის თითქმის ყველა ფეხბურთელი ტრანსფერზე დაუყენებიათ და რას აპირებენ, არ ვიცი.

— მოკლედ, ყველაზე რეალური ისრაელია?

— ჯერჯერობით, ასეა.

— საქართველოს ნაკრების ახალ მწვრთნელზე რას იტყვი, ტოპმოლერს თბილისში ხომ არ შეხვედრიხარ?

— არ შევხვედრივარ და არც ვიცნობ, თუმცა კი ვიცი, რომ ძალიან მაღალი დონის სპეციალისტია და მისი დანიშვნის შემდეგ წარმატების იმედი უფრო გამიძლიერდა. შემტევი, სანახაობრივი ფეხბურთი იცისო და, ესეც მესიამოვნა. ნაკრები მალე შეიკრიბება და დანარჩენი უკვე მოედანზე გამოჩნდება.

**ქობა ინასარიძე**

# გაჯადოქრდება ბათუმი?

## ზღვისპირეთში ორ ბრაზილიელს ელიან

**ვითომ** საქართველოს ჩემპიონატში ლეგიონერების სერიოზულ შემოდენასთან გვექნება საქმე? აი, ბოლნისის „სიონმა“ ორი ჰოლანდიელი ფეხბურთელის მიმართ ინტერესი დაადასტურა, „ბათუმი“ კი ოკეანისგაღმა იყურება და ბრაზილიელების ჩამოყვანას აპირებს.



ოთარ გაბელია

„ორ ბრაზილიელს დღე-დღეზე ველით. ერთ-ერთ მათგანზე გვითხრეს, საქართველოს ჩემპიონატის დონეს თავისუფლად მოერგებაო, მეორე კი კიდევ უფრო ძლიერიაო. ერთი ის ვიცი, რომ ეს სამხრეთამერიკელები ახალგაზრდები არიან. ვნახოთ, დავაკვირდებით“ — გვითხრა „ბათუმის“ თავკაცმა ოთარ გაბელიამ.

ზღვისპირელებმა გუშინწინ დაიწყეს ვარჯიში. ისინი ჯერჯერობით ბათუმში ემზადებიან და 17 იანვარს ფოთის „კოლხეთს“, 19-ში კი თბილისის „დინამო 2“-ს შეხვდებიან ტესტ-მატჩებში.

„ამ ორ ამხანაგურ თამაშში გასასინჯ ფეხბურთელებს გამოვცდით. მათი უმრავლესობა ბათუმელია და მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ კარგი ფეხბურთელები დავიმატეთ, ადგილობრივებსაც გავუხსნით გზას. დაგეგმილი გვაქვს საკონტროლო მატჩები 23 და 27 იანვარს, ასევე 1, 11 და 15 თებერვალს, თუმც მეტოქეები ჯერ არ შეგვირჩევია. თებერვლის დასაწყისში ეგებ თურქეთში წავიდეთ და იქაურ კლუბებს ვეთამაშოთ“ — გაბელია და მისი გუნდი ჩემპიონატის მეორე წრეს იმედიანად და კიდევ ერთი ახალწვეულით ხვდებიან: „თბილისის“ ყოფილი მეკარე გიორგი სომხიშვილი უკვე ბათუმელია.

ჩვენ კი დაველოდოთ ბრაზილიელებს...

**ილია ნანობაშვილი**

# მოსკოვში დინამოს არმია დახვდება

## ცხადაძემ 19 დათვალა



კახა ცხადაძე

**საქართველოს** ჩემპიონი თბილისის „დინამო“ გუშინ მოსკოვს ესენგეს ტრადიციულ ტურნირზე სათამაშოდ გაემგზავრა და სასტუმრო „იზმაილოვოში“ დაბინავდა. გუშინვე „დინამოს“ თავკაცმა კახა ცხადაძემ ის 19 ფეხბურთელი დაასახელა, რომლებიც მოსკოვში იახლა. გუნდის შემადგენლობაში ხუთი ისეთი ფეხბურთელია, ეროვნული ჩემპიონატის პირველ წრეში მეტწილად „დინამო 2“-ში რომ თამაშობდნენ, ახლა კი ცხადაძემ დააწინაურა და მათი დიდი მომავლისაც სჯერა. ესენგეს ტურნირზე ითამაშებს ლადო ახალაია, რომელიც „დინამოს“ შარშან „ციურიხში“ ჰყავდა განათხოვრებული და დაიბრუნა, გუნდთან ერთად იქნება ასევე ჯაბა დვალიც, ვინც პირველ წრეში „სიონში“ თამაშობდა.

„დინამოს“ მოსკოვური სრული სია ასეთია:

*ზვიად სტურუა, სოსო გრიშიკაშვილი; რევაზ ქემოკლიძე, სერგო ორბელაძე, დავით გიგაური, ლევან აკობია, გულვერდ თომაშვილი, უჩა ლობჯანიძე; ლაშა ნოზაძე, კახა მახარაძე, გიორგი მერებაშვილი, ირაკლი ჩირიკაშვილი, ნიკა ფირცხალავა, გიორგი ნავალოვსკი, ლადო ახალაია; გიორგი მჟავანაძე(?)*

*ლევან მელქაძე, ჯაბა დვალი, მიხეილ ბობოხიძე.*

„დინამოს“ სხვა ფეხბურთელები კი, რომლებიც ესენგეს ტურნირს მიღმა დარჩნენ, ამ სეზონში სავარაუდოდ ისევ განათხოვრებულნი იქნებიან: ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ „სიონში“ დარჩებიან გიორგი ჭუცურუა და ლევან ხმალაძე, ხოლო „ბათუმში“ განათხოვრებულ მიხეილ კაკალაძესა და მეკარე ირაკლი თოთლაძეს ალბათ ფორვარდი ვლადიმერ დვალიშვილიც დაემატება. ჯერ გაურკვეველია გიორგი კვიტაიშვილის საკითხი, პირველ წრეში ისიც „სიონში“ თამაშობდა.

თბილისის „დინამო“ მოსკოვში ტურნირის პირველ მატჩს ხვალ მასპინძელ ცესკასთან გამართავს.

წლეულს ესენგეს ჩემპიონთა ტურნირის საპრიზო ფონდი 250 ათასი დოლარია, საიდანაც 100 ათასი ფიფას მოწყალებაა.

ცესკა — „დინამოს“ მატჩის რეპორტაჟი „პლანეტა-სპორტის“ არხზეა დაგეგმილი.

**ქობა ინასარიძე**

# ვიკამათოთ?

კაცი რომ სამ საქმეშია ერთდროულად და სინამდვილეში არ არის, უბედურება ეგაა... კობა ჟორჟიკაშვილი არის: „ზესტაფონი 2“-ის მთავარი მწვრთნელი, ამავე დროს არის საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ამავე დროს არის საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი. კობა ჟორჟიკაშვილზე ქართულ გაზეთებში არასდროს დაწერილა, ცუდი მწვრთნელიაო და ამის თქმას არც ახლა ვაპირებთ. მორიდება არაფერ შუაშია — მას მართლა კარგ მწვრთნელად ვიცნობთ. მაგრამ არ გვჯერა, რომ ერთი კაცი ერთდროულად სამ საქმეს თანაბრად კარგად გაუძლვება და თუ ვინმე გვეტყვის, რატომაც არაო, შეგვიძლია ვიკამათოთ. ჰო, მაგალითებსაც თუ დაგვისახელებენ, უკეთესი იქნება. „ზესტაფონზე“ აქ არ ვილაპარაკებთ — ამ კლუბს კერძო პატრონი ჰყავს და მის საქმეში ჩარევა მთლად კორექტული არ იქნება. მაგრამ რატომ წვრთნის გუნდის მწვრთნელი საქართველოს ნაკრებს, თანაც ერთდროულად ორს — ამაზე ლაპარაკს არათუ კორექტულად, აუცილებლადაც ვთვლით. თავში ნათქვამს ერთხელაც გავიმეორებთ — ერთი კაცი, ჩვენი ღრმა რწმენით, სამ საქმეს ერთდროულად, თანაც თანაბრად კარგად, ვერ გაუძლვება, თუმცა... ყველამ იცის, რომ 19-წლამდელთა და ახალგაზრდული ნაკრებების მწვრთნელი რეალურად გაიოზ დარსაძეა — კაცი, რომელიც ვარჯიშებს ატარებს, შემადგენლობას ადგენს და ტაქტიკას განსაზღვრავს — კობა ჟორჟიკაშვილი კი, მოგვიტევოს და, მხოლოდ შირმაა. ასე რომ, კაცი ერთდროულად სამ გუნდში მუშაობს და ამავე დროს არც მუშაობს. თუ ამგვარი ჩახლართული ვითარება ვინმეს ნორმალურად მიაჩნია, კამათი ამაზეც შეგვიძლია.

# გიორგი ჩიხრაძის ამერი და ბაიერი

*ბოლო ორ ოფიციალურ მატჩში „ამერს“ სათადარიგოთა სკამიდან მთავარი მწვრთნელის თანაშემწე ნუგზარ ბოჯგუა ხელმძღვანელობდა, გიორგი ჩიხრაძე კი ამ დროს სასწავლებლად იყო წასული.*

*ერთი წლის წინ ჩიხრაძემ თბილისში* **B** *კატეგორიის მწვრთნელის ლიცენზია აიღო, თუმცა ამას არ დასჯერდა და სწავლა მოსკოვის მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში განაგრძო.*

*სწავლა ერთწლიანი იყო, რომლის განმავლობაშიც ჩიხრაძე ორჯერ სესიებზე ჩავიდა მოსკოვში და ორჯერაც პრაქტიკა გაიარა ანთალიასა და ლევერკუზენში. ორი კვირის წინ კი მან ფეხბურთის სპეციალისტის დიპლომი მიიღო.*

*გიორგი ჩიხრაძეს ბაკურიანში შევხვდით, სადაც „ამერი“ სამეორეწრეო შეკრებას გადის. საუბარი კი, გუნდის მზადების გარდა, მთავარი მწვრთნელის სასწავლებლად ყოფნასაც შეეხო...*



ბადრი კოდიაშვილის ფოტო

— მოსკოვის მწვრთნელთა უმაღლესი სკოლა ლიცენზიებს არ გასცემს, ის სპეციალისტის დიპლომს იძლევა. ბევრ დისციპლინას გვასწავლიდნენ, მათ შორის ფარმაკოლოგიას, ბიოქიმიას, პედაგოგიკას, ფსიქოლოგიას... ანუ ითვლება, რომ მწვრთნელს უშუალოდ ფეხბურთის გარდა, მასთან დაკავშირებულ სხვა სფეროებზეც უნდა გააჩნდეს წარმოდგენა. ერთი სიტყვით, უმაღლეს სკოლაში კომპლექსურ ცოდნას გაძლევენ.

— თქვენ პრაქტიკაც გაიარეთ...

— წინა ზამთარში ანთალიაში მქონდა პრაქტიკა, ახლა ნოემბერში კი ლევერკუზენში ვიყავი რვა დღით. საერთოდ, უმაღლესი სკოლიდან სამ კლუბში იყო პრაქტიკა: ლევერკუზენის „ბაიერში“, სან სებასტიანის „რეალ სოსიედადში“ და პრაღის „სპარტაში“. მე ლევერკუზენის ჯგუფში მოვხვდი, მოსკოვში დაბრუნების მერე კი ჩვენ იქაური შთაბეჭდილებები გავუზიარეთ დანარჩენებს. სხვებმა „სოსიედადზე“ და „სპარტაზე“ გვიამბეს.

პრაქტიკა იმით დაიწყო, რომ ბუნდესლიგაში „ჰამბურგთან“ საშინაო მატჩს დავესწარი, მომდევნო დღეებში კი გუნდის ვარჯიშებს ვაკვირდებოდი. ვარჯიშების შინაარსის უკეთ გასაგებად ლევერკუზენელთა მწვრთნელ მიხაელ სკიბეს ვესაუბრე — იქ ძირითად ყურადღებას წინა მატჩში დაშვებული შეცდომების გამოსწორებას უთმობენ და ვარჯიშებს ამის მიხედვით გეგმავენ. ხოლო მომდევნო მეტოქეს რა ტაქტიკა უნდა დაუპირისპირონ, ამაზე აქცენტი ნაკლებად კეთდება.

გავეცანი კლუბის ინფრასტრუქტურას, მათ ბავშვთა აკადემიაშიც ვიყავი. სხვათა შორის, კლუბი ბავშვთა აკადემიის საქმიანობაში დიდად არ ერევა. ბავშვთა აღზრდის პროგრამა კი ძალიან საინტერესოა. დეტალურად აქვთ განსაზღვრული, რომელ ასაკში რაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი. ბავშვთა მწვრთნელები ძალიან ვიწრო სპეციალიზაციისანი არიან. მაგალითად, ერთი მწვრთნელი ფეხბურთელების სისწრაფეზე მუშაობს, მეორე მხოლოდ თავით თამაშში ავარჯიშებს და ასე შემდეგ.

შევხვდი იქაური სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელს, ევროპაში ძალიან ცნობილ სპორტულ ექიმს, რომელთანაც სხვა ქვეყნებიდანაც ჩადიან ფეხბურთელები სამკურნალოდ და საოპერაციოდ.

ძალიან საინტერესო და სასარგებლო შეხვედრა იყო „ბაიერის“ სპორტულ დირექტორთან რუდი ფიოლერთან. მასთან სატრანსფერო პოლიტიკის, სპონსორებთან ურთიერთობის და ინფრასტრუქტურის მოწყობის საკითხებზე ვისაუბრე.

ცალკე თემაა „ბაიარენა“. როგორ უვლიან მოედნის საფარს, როგორ იცავენ გულშემატკივართა უსაფრთხოებას, როგორი სერვისი აქვთ სპონსორებისთვის და ასე შემდეგ.

შევხვდი „ბაიერის“ უკრაინელ ლეგიონერ ანდრეი ვორონინს. საინტერესო იყო ფეხბურთელის თვალით დანახული კლუბი. ერთი სიტყვით, ლევერკუზენში ფასდაუდებელი ცოდნა მივიღე.

— ლევერკუზენის „ბაიერის“ ყოფილი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრებში დაინიშნა. როგორ შეაფასებთ ამას?

— ტოპმიოლერის კვალიფიკაციაზე ლაპარაკი ზედმეტია. ის რომ ძალიან მაღალი კლასის სპეციალისტია, ეჭვი, მგონი, არავის ეპარება. აზრთა სხვადასხვაობა მხოლოდ მისთვის გადასახდელმა თანხამ გამოიწვია. ზოგი თვლის, რომ ჯობდა, ეს თანხა ქართული საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის გამოეყენებინათ. ჩემი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, მოკლედ რომ ვთქვა, ასეთია: დიდი საქმე მუქთად არ კეთდება. გნებავთ, ასეთი კითხვა დავსვათ: ის თანხა, რასაც ტოპმიოლერს უხდიან, ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად საკმარისია? ვფიქრობ, არა. და საერთოდ, ასეთი გამიჯვნა სწორად არ მიმაჩნია. ფული ნაკრებისთვისაც უნდა გამოიძებნოს, ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისთვისაც და ქართული საფეხბურთო მეურნეობის სხვა სეგმენტებისთვისაც.

— მოდით, „ამერზე“ გადავიდეთ. რამდენჯერმე უთქვამთ, რომ „ამერის“ ტაქტიკა ერთფეროვანია და, შესაბამისად, მისი თამაში იოლად გასაშიფრია. ამ მოსაზრებას თუ ეთანხმებით?

— ერთფეროვნებაში რა იგულისხმება? ის, რომ რადიკალურ ცვლილებებს ვერიდებით? არა მგონია, რომ ტაქტიკურ სქემებში რადიკალური ცვლილებები გუნდისთვის, რომელიც უმაღლეს ლიგაში პირველ სეზონს ატარებს, სასარგებლო იყოს. რაც შეეხება შედარებით მცირე ცვლილებებს, ჩვენ ამას მუდმივად, მეტოქის ძალისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ვაკეთებთ. „ამერი“ ძირითადად 4-4-2 სქემით თამაშობს, მაგრამ ამ სქემასაც ბევრი ვარიაცია გააჩნია და თუ დააკვირდებით, ჩვენ ამ ვარიაციებს ხშირად ვიყენებთ. 4-3-3 და 4-5-1 სქემითაც გვითამაშია. თანაც, ტაქტიკის შერჩევისას ფეხბურთელების შესაძლებლობებიც უნდა გაითვალისწინო. ამის გარეშე ტაქტიკური მონახაზების განსაზღვრა უაზრობაა.

— მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში სესიების და ლევერკუზენული პრაქტიკის დროს თვეზე მეტი ხანი გუნდთან არ იყავით. ამდენი ხნით განშორების მერე ცვლილებები უფრო თვალსაჩინოდ ჩანს. მოსკოვიდან დაბრუნების მერე ყველაზე მეტად რა მოგხვდათ თვალში?

— ბიჭებს სინანული შევატყვე. ყველას ძალიან კარგად აქვს გააზრებული, რომ ცალკეული უხეში შეცდომების გამო ბევრი ქულა დავკარგეთ, მაშინ, როცა პირველი წრე შეგვეძლო, მეორე ადგილზე დაგვემთავრებინა. კმაყოფილი ვარ, ბიჭებს ეს რომ ესმით, უფრო მეტად კი ის მახარებს, როგორი მონდომებით ემზადებიან მეორე წრისთვის.

— თქვენ ისედაც ემოციური მწვრთნელი ხართ და როცა „გაგრასთან“ სათასო მატჩის დროს და ჩემპიონატში „თბილისთან“ თამაშისას თბილისში არ იმყოფებოდით, რა განცდა გქონდათ? მით უმეტეს, „ამერმა“ ის მატჩები ვერ მოიგო...

— ამ მატჩების მსვლელობისას ტელეფონით კი მიყვებოდნენ ამბებს, მაგრამ მაინც ძალიან ცუდი გრძნობაა, შენი თვალით რომ ვერ ხედავ, მოედანზე რა ხდება. შორს ხარ და ელი, რომ შენი გუნდი გოლის გატანას მოახერხებს. „ამერის“ მწვრთნელთა შტაბს სრულად ვენდობი, ასევე ფეხბურთელებსაც, მაგრამ იმ მატჩების ვერმოგების გამო ძალიან გაბრაზებული ვიყავი. მჯეროდა, ბიჭებს ხასიათის სიმტკიცე ბოლომდე რომ გამოევლინათ, მოგება შეიძლებოდა. ჩამოსვლის მერე ფირები ვნახე და ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი.

— „ამერის“ მიზანი იგივეა, რაც სეზონის წინ იყო?

— დიახ, სეზონი ისეთი შედეგით უნდა დავასრულოთ, ევროთასზე თამაშის უფლებას რომ მოგვცემს.

**გიორგი დარჯანია**




„ბაიარენათი“ ვინ არ აღფრთოვანდება?!

# რეალი დელ ბოსკეს ტკივილია



ვისენტე დელ ბოსკე „რეალის" უფროსობაზე დღესაც ნაწყენია

**ვიდრე** თითქმის სრულიად მადრიდი ანტონიო კასანოს დებიუტის მოლოდინშია, „სამეფო კლუბის" ახალი მწვრთნელის ამბავი ყველას გადაავიწყდა, თუმცა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ იანვარშივე თუ არა, მომავალ ზაფხულს ხუან რამოს ლოპეს კაროს კიდევ ერთი სახელოვანი სპეციალისტი შეცვლის.

როგორც მოგახსენეთ, ამჟამად ეს საკითხი არც ისე აქტუალურია, რადგანაც აქცენტი ანტონიო კასანოზეა გადატანილი, მაგრამ ჟურნალისტები მაინც არ ივიწყებენ „რეალის" მწვრთნელობის კანდიდატებს და პრესაში კიდევ ერთხელ გაჩნდა ვისენტე დელ ბოსკეს კომენტარი. კარგად იცით, რომ დელ ბოსკე ის კაცია, რომლის ხელშიც „სამეფო კლუბი" ბოლო წლებში საუკეთესო ფეხბურთს აჩვენებდა და ტიტულებიც არ აკლდა, მაგრამ მაინც დაითხოვეს. ულვაშა სპეციალისტიც დღემდე განაწყენებულია და „სანტიაგო ბერნაბეუსკენ" გახედვაც არ სურს, მაგრამ...

„ჩემი ურთიერთობა „რეალის" პრეზიდენტ ფლორენტინო პერესთან არც ცუდია და არც კარგი, ის ცივაა. ხშირად მიფიქრია, რომ ჩვენს შორის გაჩენილი უფსკრულის ამოვსება შეუძლებელია, მაგრამ ეს ცხოვრებაა და ყველაფერი ხდება. თანაც გულშემატკივრებისგან ისეთ სითბოს ვგრძნობ, რომ ძნელია, ყინული არ გალღვეს. თუმც ჩემი დაბრუნება, სანამ „რეალში" ასეთი რეჟიმია, მაინც წარმოუდგენლად მიმაჩნია" — თქვა დელ ბოსკემ.

შეგახსენებთ, რომ დელ ბოსკეს წასვლის შემდეგ „რეალს" სათავეში ედგნენ კარლუშ კეიროში, ხოსე ანტონიო კამაჩო, მარიანო გარსია რემონი და ვანდერლეი ლუშემბურგო, მაგრამ საკმაოდ მოკლე პერიოდებით და წარუმატებლად. ახლა კი „სამეფო გუნდს" ლოპეს კარო წვრთნის და დიდი დღე ალბათ არც მას უწერია.

ვისენტე დელ ბოსკე: „კლუბისთვის ძალიან ძნელი და რთულია მწვრთნელების ასე ხშირად ცვლა. მწვრთნელის წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობა ნდობაშია, ხოლო თუ მას არ ენდობი, ტიტულებიც არ უნდა მოსთხოვო. არადა, „რეალს" ყველაფრის მოგება უნდა. მადრიდელები სულ „ბარსელონაზე" არ უნდა ფიქრობდნენ და თავიანთ თამაშზე მოახდინონ კონცენტრირება. „რეალისთვის" ახლა მთავარი ოთხეულში მოხვედრაა, თორემ ასე ეგებ გუნდი ჩემპიონთა ლიგის მიღმაც დარჩეს".

**კოკი კანდელაკი**

# ბიანკი წახდა
## არ აპირებდა, მაგრამ გააქციეს

**მადრიდის** „ატლეტიკომ" გუშინ საღამოს მწვრთნელი კარლოს ბიანკი დაითხოვა.

არადა, „სარაგოსასთან" წაგებული მატჩის მერე არგენტინელი დიდ გულზე იყო: „მე პროფესიონალი ვარ და რამდენიმე უიღბლო მატჩის გამო გუნდიდან გაქცევას არ ვაპირებ. ხელმძღვანელობაც ჩემს მხარესაა, „ატლეტიკოში" ვრჩები და მუშაობას ვაგრძელებ" — განუცხადა ბიანკიმ მადრიდულ „ასს".

ისე, „რამდენიმე უიღბლო მატჩი" ცოტა არ იყოს, რბილად ნათქვამია, რადგან ესპანურ პრიმერადივიზიონში შაბათ-კვირას საამსეზონო მე-18 ტური ჩატარდა, ბიანკის „ატლეტიკოს" კი მერვე ტურიდან მოყოლებული, ანუ ათი ტურია, მოგების გემო დაავიწყდა. ის ხსენებული ჯახი კი, „სარაგოსასთან", სათასო იყო და „ათლეტებმა" საკუთარ მოედანზე 0:1 წააგეს...

წინა დღეებში „სარბიელი" მადრიდული გუნდის ინჩასთა მრისხანებასა და პრეზიდენტ ენრიკე სერეზოს ულტიმატუმზე მოგახსენებდათ — „ატლეტიკოს" თავკაცობას ბიანკი „ვისენტე კალდერონიდან" მომდევნო ორი თამაშის („სარაგოსასთან" და „ბეტისთან") ჩაგდების შემთხვევაში უნდა გაეშვა. „სარაგოსასთან" ბიანკი წახდა, ჩემპიონატში „ბეტისთან" თამაში კი მას აღარ დააცადეს და გუშინ საღამოს კარისკენ მიუთითეს.

პრეზიდენტმა ენრიკე სერეზომ ბიანკის გაშვების მერე თქვა: „ჩვენ შევხვდით მას და შევთანხმდით, რომ ახლავე გავწყვეტდით კონტრაქტს. „ატლეტიკომ" სეზონი ძალიან კარგად დაიწყო და დიდი იმედიც გვქონდა, რომ კარგადვე დაასრულებდა. თუმცა ბოლო თვეების ამბებმა დაგვარწმუნა, რომ კარდინალური ცვლილებების გარეშე სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ".

ახლა ჯერი ახალი მწვრთნელის დანიშვნაზეა. ესპანური მედიის აზრით, ამ პოსტს მადრიდელები „ოსასუნას" დამრიგებელ ხავიერ აგირეს ან „დეპორტივოს" ოდინდელ მწვრთნელ ხავიერ ირურეტას შესთავაზებენ. სხვათა შორის, ირურეტა თავის დროზე „ატლეტიკოს" ფეხბურთელი იყო.



AFP

გუშინ კარლოს ბიანკი „ატლეტიკოდან" დაითხოვეს

**ლადო ხომერიკი**




AFP ლივერპულიდან

რაფაელ ბენიტესმა ახალწვეული დანიელ აგერი მედიას წარუდგინა

# დანიელის ლივერპულში
## ჯერარდმა ცისფერებთან იმღერა

**რაფაელ ბენიტესმა** კიდევ ერთი ტრანსფერი გაჩარხა და დანიელი მცველი დანიელ აგერი „ენფილდ როუდზე" ჩაიყვანა. ესპანელ სპეციალისტს „ლივერპულის" დაცვის ცენტრის გაძლიერება სურს და დიდი ხანია, 21 წლის აგერს თვალი დაადგა. მიუხედავად ასაკისა და პოზიციისა, პერსპექტიულმა ფეხბურთელმა უკვე მოასწრო „ბრონდბიუს" ვარსკვლავად ქცევა და მასზე რამდენიმე გრანდიც ნადირობდა.

აგერმა გუშინ სამედიცინო შემოწმება გაიარა და მერსისაიდელებთან კონტრაქტიც გააფორმა. „ბრონდბიუ" ფეხბურთელის სანაცვლოდ დაახლოებით 5,8 მილიონ გირვანქას მიიღებს.

„დიდი ხანია, დანიელს ვაკვირდებოდით და „ბრონდბიუსაც" პირველად საკმაო ხნის წინ შევეხმიანეთ. ჩვენ გვითხრეს, რომ აგერი ბოლო 20 წელიწადში დანიის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური მცველია და ბევრმა სკაუტმა ასევე მაღალი შეფასება მისცა მას, თუმც იგი ჯერ ძალიან ახალგაზრდა და პერსპექტიულია, ამიტომ უნდა მოუმატოს კიდეც. სათამაშო დრო ჯერ ბევრი არ ექნება, პირველ რიგში ფიზიკურად უნდა მოძლიერდეს და მერე მართლაც სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის სემი ჰიპიასა და ჯეიმი კარაგერს. ეს ერთადერთი პოზიცია იყო, სადაც კონკურენცია არ გვქონდა და ესეც გამოვასწორეთ, რაც კლუბს წაადგება" — თქვა ბენიტესმა.

აქვე ერთ სახალისო ლივერპულურ ამბავზეც ვთქვათ. გუნდის კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა მერსისაიდელთა აყლაყუდა ფორვარდ პიტერ კრაუჩს 5 ათასი გირვანქა მოუგო. ყველაზე საინტერესო სანაძლეოს პირობაა — კრაუჩი დარწმუნებული იყო, რომ ჯერარდი ერთ-ერთ გეი-კლუბში სცენაზე არ ავიდოდა და ცისფერების ჯგუფთან ერთად არ იმღერებდა. თუმცა „ლივერპულის" კაპიტანი დაუფიქრებლად წამოდგა მაგიდიდან და იმ კლუბში ყველაზე პოპულარული სიმღერაც, „ჩემთვის ეს ცოტაა" შეასრულა.

როგორც ჩანს, ჯერარდი ისე გაერთო, რომ სცენა არ დატოვა და კიდევ ერთი სიმღერა შეასრულა, მაგრამ უკვე თავად კრაუჩთან ერთად, რომელიც ასევე შეუერთდა მას. კლუბში „ლივერპულის" კიდევ ერთი მოთამაშე, სტივენ ფინანიც იყო, მაგრამ ირლანდიელმა სცენაზე ასვლა იუარა.

ამ ამბავთან დაკავშირებით ბრიტანულმა პრესამ ცოტა ხნის წინ ცისფერებს შორის ჩატარებული გამოკითხვა გაიხსენა, რომელსაც ყველაზე სექსუალური ფეხბურთელის ვინაობა უნდა გამოერკვია და ამ გამოკითხვაში ჯერარდი მეორე ადგილზე გავიდა.

**კოკი კანდელაკი**

# ქარალი ოცნებათა თეატრში




თომას გრავესენი „მანჩესტერში" შესაძლოა, მალე გადავიდეს

**მოულოდნელად** გამოცხადდა, რომ 29 წლის თომას გრავესენს „მანჩესტერ იუნაიტედი" იყიდის მადრიდის „რეალისგან". ინგლისელები ორნახევარ მილიონ გირვანქას თავაზობენ ესპანელებს და ქაჩალ საყრდენს როი კინის ერთი ხნის შემცვლელად მოიაზრებენ.

„მანჩესტერს" თვრამეტი თვის წინათაც უნდოდა გრავესენი, ოლონდაც ის „ევერტონიდან" მადრიდში წავიდა. გრავესენის აგენტი ჯონ სივებაკი ახლა მადრიდშია და საქმეს ჩარხავს. საიანვრო ფანჯარაში გრავესენი ბოლო შენაძენი იქნება სერ ალექსის ფერგიუსონისთვის, რომელმაც 12,5 მილიონი გირვანქა უკვე დახარჯა და ორი მცველი, სერბი ნემანია ვიდიჩი და ფრანგი პატრის ევრა შეიძინა.

თომას გრავესენს მხოლოდ ხუთი სტარტი ჰქონდა ამ სეზონში, მადრიდიდან წასვლა კი საბოლოოდ მაშინ გადაწყვიტა, როცა, „ვილიარეალთან" მატჩის ძირითადშიც ვერ მოხვდა, იმის მიუხედავად, რომ მადრიდელებს რამდენიმე ნახევარმცველი აკლდათ.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ამოროზო და მილანი ექიმებს ელიან

**ბრაზილიელი** მარსიო ამოროზო „მილანის“ ფეხბურთელი ოფიციალურად დღეს გახდება. მას შემდეგ, რაც სამედიცინო შემოწმებას გაივლის, მხარეები კონტრაქტზე ხელს მოაწერენ. ეს უკვე კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმაც დაადასტურა.

„მილანის“ თავკაც კარლო ანჩელოტის კომენტარი კი ძალიან მოკლე იყო. მან ისიც აღნიშნა, ჯერ კიდევ ორი დღის წინ ვერ წარმომედგინა, თუ ამოროზო ჩვენი ფეხბურთელი გახდებოდაო.

კარლო ანჩელოტი: „მარსიო ბრწყინვალე ფორვარდია. მან ეს ადრე უშუალოდ სერია A-შიც დაამტკიცა და „მილანს“ უდავოდ გააძლიერებს“.

აპენინელმა ჟურნალისტებმა კომენტარი თავად ფეხბურთელსაც ჩამოართვეს. ეს მილანის „მალპენზას“ აეროპორტში მოხდა. 31 წლის თავდამსხმელი საკმაოდ ოპტიმისტურადაა განწყობილი.

„პირველ რიგში, იმის თქმა შემიძლია, რომ ძალიან ბედნიერი ვარ, ხუთი წლის შემდეგ ისევ იტალიაში ჩამოსვლით. აქ კვლავ ბევრი მეგობარი მყავს. იტალია საოცარი ქვეყანაა და ადამიანს პიროვნულად აძლიერებს, თანაც დიდ სიამოვნებას ანიჭებს. დანარჩენზე კი მერე ვისაუბროთ, როდესაც ოფიციალურად გავხდები „მილანის“ ფეხბურთელი“ — თქვა ამოროზომ.

მიუხედავად ამისა, იტალიელი ჟურნალისტები მას არ მოეშვნენ და „მილანზე“ მაინც ათქმევინეს რამდენიმე სიტყვა. მას მომავალი კონკურენტები — შევჩენკო, ჯილარდინო და ინძაგიც უხსენეს...

მარსიო ამოროზო: „მილანს“ ბრწყინვალე თავდამსხმელები ჰყავს, სხვას ვერაფერს ვიტყვი. რაც შეეხება სკუდეტოსთვის ბრძოლა, „იუვენტუსი“ მართლაც შორს არის, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. ძალიან გახარებული ვარ, მაგრამ კონტრაქტის გაფორმებამდე მეტს ვერაფერს გეტყვით“.

**ბოკი ბანდელაძი**



AFP

# კობრა ფეხბურთს ჩამოსცილდა

**ადრიან ილიე** ფეხბურთიდან მიდის — ოთხმოცდაათიანი წლების რუმინეთის ყოჩაღი ნაკრების წევრმა მუხლის მძიმე ტრავმის მორჩენა ვერ შეძლო და იძულებული გახდა, საყვარელ საქმესთან განშორებაზე ეფიქრა.



ადრიან ილიე შვილთან ერთად

„ჩემს ასაკში კიდევ რამდენიმე ოპერაციის გადატანა და ასე წვალებით ყოფნა შეუძლებლად მიმაჩნია. აი, ოცი წლის რომ ვიყო, კიდევ არაფერი, ახლა კი ფეხბურთის მიტოვება მიწევს“ — უთხრა ილიემ ჟურნალისტებს.

31 წლის ადრიან ილიე გარდა სხვა გუნდებისა, ბუქარესტის „სტიაუაშიც“ თამაშობდა, სადაც სახელი გაითქვა და კლაუდიო რანიერის „ვალენსიაშიც“ იმიტომ გადაიყვანეს. სწორედ რანიერიმ შეარქვა რუმინელს შთამბეჭდავი მეტსახელი „ლა კობრა“ — რა თქმა უნდა, მეტოქეთა მეტისმეტი აკლებისთვის.

ბოლოს ადრიან ილიე ბელგიური „ბეერსხოტის“ ფეხბურთელი იყო.

**ლადო ხომერიკი**

მოგონება საძაგელი: ოთხი წლის წინანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველივე ეტაპიდან გამოვარდნენ. წამყვანი ფეხბურთელები დაშავებული, მომავალ მუნდიალამდე დარჩენილია მხოლოდ ერთი ამხანაგური თამაში და მწვრთნელსაც ამ და სხვა მიზეზთა გამო, რაღაც-რაღაც საკითხებისთვის თავი და ბოლო ვერ მოუძებნია.

არადა, მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინელები ეფექტურად გავიდნენ — მათი ბედის გადამწყვეტ მატჩში, მთავარ სამხრეთამერიკელ კონკურენტს, ბრაზილიას მოუგეს 3:1. თუმცა, როგორც მათ საქმეებში ჩახედული მიმომხილველები ამბობენ, მას მერე არგენტინას საქმე კარგად არ წასვლია

# ხელმოტეხილის დარდი

## სძულს თუ არა ხუან სორინს ხუნ ვერონი?

**შეგახსენებთ,** რა მოხდა შემდეგ: იმ დიდებული გამარჯვებიდან სამი კვირის თავზე, კონფედერაციათა თასის შეხვედრაში, გერმანიაში, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებმა იმავ ბრაზილიასთან 1:4 წააგეს. ამას სექტემბერში, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში, პარაგვაისთან 0:1 მარცხი მოჰყვა, ნოემბერში კი იყო ამხანაგური მატჩი ინგლისთან, რომელიც ინგლისელთა მოგებით 3:2 დასრულდა.



AFP

ხოსე პეკერმანს საფიქრალი არ აკლია

და გაგრძელებას აღარ იკითხავთ? დეკემბერში, გერმანიაში გამართულ კენჭისყრაზე, ბედმა არგენტინელთა მეტოქეებად ინება კოტ დივუარი, ჰოლანდია და სერბეთი, თუმცა ამას გუნდის მწვრთნელი ხოსე პეკერმანი პირადად არ დასწრებია. ისე, ცნობისთვის, ჰოლანდია შესაბამისი კალათიდან არგენტინას პელემ ამოუღო... გასაკვირი ის იქნებოდა, ბრაზილიელ მეფეს არგენტინელებისთვის კარგი ხელი რომ ჰქონოდა.

კი მაგრამ, რატომ არ იყო ხოსე პეკერმანი ლაიპციგში, სადაც შეფები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გუნდებს აჯგუფებდნენ? იმიტომ, რომ ხელი ჰქონდა მოტეხილი და თაბაშირით აქეთ-იქით სიარულს, შინ დარჩენა ამჯობინა. ისე კი, მუნდიალის მონაწილე 32 მწვრთნელიდან ის ერთადერთი იყო, ცერემონიალი, რომ გააცდინა.

„ჩემი იქ ყოფნა არაფერს შეცვლიდა, ეს მხოლოდ და მხოლოდ პაბლიკ რილეიშენის აქცია იქნებოდა“ — თქვა მოგვიანებით მწვრთნელმა.

და ტრავმებს აღარ იკითხავთ? გაბრიელ ჰაინცე, როგორც პეკერმანის, ასევე მისი წინამორბედის, მარსელო ბიელსას ფავორიტი ფეხბურთელი, სექტემბერში, „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში დაშავდა და თან იმდენად მძიმედ, რომ ინგლისური კლუბის თავკაცმა, ალექს ფერგიუსონმა ამასწინათ განაცხადა, რაღაც მეეჭვება, ეგ ბიჭი ივნისში მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ გამოვიდესო.

კიდევ, დაშავებულთა სიაში არიან რობერტო აიალა, ხავიერ მასკერანო და კაპიტანი ხუან პაბლო სორინი. სხვათაშორის, მასკერანო ბრაზილიაში, კერძოდ „კორინთიანსში“ თამაშობს, სადაც ახალგადასულია, ოღონდ ეგაა, მხოლოდ ცხრა თამაშში მოახერხა მონაწილეობა, შემდეგ კი დაშავდა. მის გამოჯანმრთელებას ექიმები ახლა, იანვარში ელიან. აიალაზე კი ამბობენ, მარტამდე ხეირიანად ვერ გაირბენსო. შეგახსენებთ, რომ საბრალო აიალამ 2002 წლის მუნდიალიც ტრავმის გამო გამოტოვა.

ახლა, სასტარტო თერთმეტეულის თემაზეც გავისაუბროთ. ბიელსას ბრალს სდებდენ, რომ არგენტინის ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს არ იწვევდა, პეკერმანის საქმე კი პირიქითაა, ლამის მარტო უცნობებს ეპატიჟება, უკვე 50-ზე მეტი ასეთი გამოსცადა. მეტიც, ზოგი მათგანი მხოლოდ ერთხელ, შეცვლაზე სულ რამდენიმე წუთით შეუშვა.

და ნაღდი ვინ არის?

ალბათ, მეკარე რობერტო აბონდანსიერი, თავდამსხმელი ერნან კრესპო და გამთამაშებელი ხუან რომან რიკელმე, ხოლო ხუან სებასტიან ვერონი პეკერმანის ხელში ნაკრებს არც გაჰკარებია, მწვრთნელი არ იძახებს.

„ვერონის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს — ამბობს პეკერმანი — ეს პირწმინდად საფეხბურთო საკითხია. ამბობენ, თითქოს ვერონი კაპიტან სორინს სძულს. მერწმუნეთ, ასეთი რამ რომ შემენიშნა, დაძაბული და ანერვიულებული ვიქნებოდი. ცუდი ის არის, რომ წინ კიდევ ექვსი თვეა, ჩვენ კი ამ დროის განმავლობაში მხოლოდ ერთი ამხანაგური თამაში, 1 მარტს ჟენევაში, ხორვატიასთან გველის. სხვა სიტყვებით, ვინ მოხვდება თერთმეტეულში, კანდიდატების საკლუბო თამაშზეა დამოკიდებული“.

**პაპუნა ბედია**



AFP

არგენტინის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატამდე მხოლოდ ერთ ამხანაგურ მატჩს გამართავს

ეროვნული ბიბლიოთეკა



„რომა“ ნეაპოლელებთან ალბერტო აკილანმა დააწინაურა

# სარდინიელებს საქმე გაუფლაკდათ

## იტალია

**თასის მერვედფინალი**
**საპასუხო მატჩები**

**რომა 2:1 ნაპოლი (3:0)**

1:0 აკილანი (39), 2:0 მანსინი (44), 2:1 ამოდიო (90)

**რომა:** კურჩი, ა. როსი, მექსეში (კივუ 79), ბოვო, კუფრე, დაკური, აკილანი (ჩერჩი 63), ხ. ალვარესი, მანსინი, ტომაზი (გრეკო 57), ოკაკა

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

**უდინეზე 3:1 ატალანტა (0:1)**

1:0 მაური (17), 1:1 არიატი (68), 2:1 პიერი (78), 3:1 დი ნატალე (82პ)

**უდინეზე:** პაოლეტი, ბერტოტო, ფელიპე, საპატა, ჟუარესი (დ. მოტა 75), ტისონე, აგილარი (მოროზინი 75), მაური, პიერი, დი ნატალე, ბარეტო

მწვრთნელი: სერსე კოზმი

**სამპდორია 2:1 კალიარი (1:1)**

1:0 ფლაკი (78), 1:1 გობი (90), 2:1 ფლაკი (90)

**ბრეშა 3:4 მილანი (1:3)**

0:1 ზეედორფი (15), 0:2 ინძაგი (31), 1:2 დელ ნერო (38), 1:3 რუი კოშტა (48), 2:3 დი ბიაჯო (60პ), 3:3 ჰამსიკი (71), 3:4 რუი კოშტა (88პ)

**მილანი:** კალაჩი, შიმიჩი, სტამი (მარცორატი 62), კოსტაკურტა, კალაძე (სერჟინიო 72), გატუზო (პირლო 75), ამბროზინი, იანკულოვსკი, ზეედორფი, რუი კოშტა, ფ. ინძაგი

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

**გაირკვა**: იტალიის თასის მეოთხედფინალში „იუვენტუსს“ „რომა“ შეხვდება. ოთხშაბათს რომაელებმა მართალია, მხოლოდ და მხოლოდ სერია C-ს, მაგრამ ძალიან ცნობილი გუნდი „ნაპოლი“ დაამარცხეს 2:1 და ორი მატჩის ჯამში 5:1 გაიმარჯვეს. ისე, რა მაგის პასუხია და იტალიაში ძალიან ცნობილი თუ უბრალოდ ცნობილი გუნდი ნებისმიერ ლიგაში შეიძლება ნახოთ, თუმცა ეს ამ მიმოხილვის თემა არ არის.

„ბრეშასთან“ ჯამური ანგარიშით 7:4 გაიმარჯვა „მილანმა“, „უდინეზემ“ და „სამპდორიამ“ კი „ატალანტა“ და „კალიარი“ ჩამოიტოვეს.

დავუბრუნდეთ რომაულ ამბავს. თამაში უმაყურებლოდ ჩატარდა, რადგან მეტოქეთა წინა შეხვედრის დროს, რომელიც ნეაპოლში „სან პაოლოზე“ გაიმართა და „რომამ“ 3:0 მოიგო, სტუმარმა გულშემატკივრებმა აყალმაყალი ატეხეს, რისთვისაც დაისაჯნენ. მიუხედავად ამისა, „რომამ“ „ნაპოლის“ წინააღმდეგ მაინც სიძლიერით მეორე შემადგენლობა ათამაშა და მაინც და მაინც დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. აღსანიშნავია, რომ მასპინძელთა მეორე გოლი გაიტანა ბრაზილიელმა მანსინიმ, რომელიც ორთვიანი მკურნალობის შემდეგ პირველად დაუბრუნდა მოედანს.

ბრეშაში კი მილანელებმა, მიუხედავად პირველ შეხვედრაში მოგებული 3:1-სა, თავიდან სათადარიგო შემადგენლობა ათამაშეს და დაწინაურდნენ კიდეც ორი გოლით, მაგრამ პირველი ტაიმის მიწურულს ერთი გაუშვეს. მეორეში რუი კოშტამ აღადგინა ორგოლიანი უპირატესობა, თუმცა აქ ერთხელაც იჩინა თავი „შავ-წითლების“ ერთმა ბოლო დროს შემჩნეულმა სენმა — მილანელები პერიოდულად უპირატესობას ვერ ინარჩუნებენ. ერთი სიტყვით, იმის თქმა გვინდა, რომ „ბრეშამ“ ანგარიში გაათანაბრა და რომ არა იმავ რუი კოშტას 88-ე წუთზე პენალტით გატანილი გოლი, თამაში ფრედ დასრულდებოდა.

ჩამოთვლილთაგან ყველაზე დრამატული კი გახლდათ გენუაში გამართული მატჩი „სამპდორიასა“ და „კალიარის“ შორის, რომლის ბედიც მსაჯის წამატებულ მეხუთე წუთზე გადაწყდა.

მაგრამ ტრილერის გამომწვევი მთავარი მიზეზი მარტო ეს 95-ე წუთი არ იყო. საქმე ის გახლავთ, რომ შეხვედრას ფლაკის მიერ 78-ე წუთზე გატანილი გოლით „სამპდორია“ იგებდა, მაგრამ სარდინიელებმა არ მოისვენეს და... მსაჯის მიერ წამატებულ მეორე წუთზე გაქვითეს, რითაც ორი მატჩის ჯამური ანგარიში გათანაბრდა. ასე და ამგვარად, ყველა უკვე დამატებით დროზე ფიქრობდა, როდესაც იმავე ფლაკიმ...

**პაპუნა ძედია**

# ივუდ პარკის მუშტები

## ინგლისი

**ლიგის თასი. 1/2 ფინალი**
**პირველი მატჩი**

**ბლექბერნი 1:1 მანჩესტერი**

0:1 საა (30), 1:1 პედერსენი (35)

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ნილი, ტოდი, ნელსენი, ე. გრეი, ბენტლი (ემერტონი 76), სევიჯი, თუგაი (ს. რიდი 76), მ. პედერსენი, კუქი (დიკოვი 84), ბელამი

მწვრთნელი: მარკ ჰიუზი

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, მ. ბრაუნი, სილვესტრი, რონალდუ, დ. ფლეტჩერი (ოში 85), ა. სმიტი, გიგზი, რუნი, საა (ვან ნისტელროი 82)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: ბელამი, სევიჯი, თუგაი, დიკოვი, სმიტი, რუნი, საა, ოში

მსაჯი: სტაილზი

24 348 მაყურებელი



AFP ფოტოქრონიკა

ჩხუბის დამწყებ ალან სმიტს მაგრად მოხვდა

**მოგეხსენებათ**, რომ ფრედ დასრულდა ლიგის თასის პირველი ნახევარფინალური მატჩი „ბლექბერნსა“ და „მანჩესტერს“ შორის „ივუდ პარკზე“.

ამ თამაშში აქით-იქიდან ისეთი ბიჭები იყვნენ, რომ ჩხუბი აუცილებლად მოხდებოდა. მოხდა კიდეც: ალან სმიტმა უხეში ვარდნით გაამხეცა რობი სევიჯი და ამ საქმეში უეინ რუნიც გაეხვია. სმიტს თავი გაუტყდა, თუმცა წითელი ასცდა. „ეს საზიზღარი ჯარიმა იყო. ორი ფეხით. ყველაფერი ამიტომ მოხდა“ — თქვა ბლექბერნელთა ბოსმა მარკ ჰიუზმა თამაშის შემდეგ.

მაგრამ მსაჯმა რობ სტაილზმა მოძიძგილავეები არ გააძევა, ყვითლები ჩამოურიგა, იმის მიუხედავად, რომ სევიჯი რუნის ახრჩობდა. რუნი კი სევიჯს ცხვირ-პირს უზელდა.

საერთოდაც, ამ თამაშში ყვითლები ბევრი იყო: პოლ დიკოვი, თუგაი ქერიმოღლუ, კრეიგ ბელამი, ჯონ ოში და ლუის სააც გააფრთხილეს. ჯამში კი ყვითელი რვა გამოვიდა.

„ალან სმიტს იღბალი ჰქონია. მისმა უხეშობამ სევიჯისა და რუნის ჩხუბი გამოიწვია. მსაჯს სწორედ სმიტი უნდა გაეძევებინა იმიტომ, რომ ამ სამეულის ზედახორა მისი ბრალი იყო“ — არ ცხრებოდა თამაშის შემდეგ ჰიუზი.

რუნის სიტყვები კი ასეთი იყო: „რაც მინდორზე ხდება, იქავე რჩება. ერთი-ორი ხელის გაქნევა იყო და მორჩა“.

ალექს ფერგიუსონმა კი მოკლედ თქვა: „ორივე გუნდმა დაამტკიცა, რომ ფინალში თამაში სურს“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ბოჟინოვს ბაიერნი ხიბლავს

